საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გურამიშვილი მამუკა

გურამიშვილი მამუკა, XVIII ს. II ნახ. პოეტი. ცხოვრობდა მოსკოვსა და პეტერბურგში. გარდაიცვალა მოსკოვში (პრესნიაზე). დაახლოებული იყო მეფე ვახტანგ VI-ის წრესა და ემიგრანტ მწერლებთან – დიმიტრი სააკაძესა და დიმიტრი ბაგრატიონთან. დ. გურამიშვილის მიბაძვით **გ-**მა შეთხზა ვრცელი ლექსი „მზეთა-მზე“. მასვე ეკუთვნის მირიან ბატონიშვილისა და დიმიტრი ბატონიშვილისადმი მიძღვნილი ლექსები.

თხზ.: [წიგნში] ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ანთოლოგია, ტ. 2, ტფ., 1928.

ლიტ.: ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1966.

გ. მიქაძე